ხელშეკრულება №8
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. წყალტუბო

12 დეკემბერი 2013 წელი

ერთი მხრივ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გვიშტიბის საჯარო სკოლა (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ნინო ვადაჭკორიას სახით და მეორე მხრივ, შ.პ.ს. „შესყიდვებისა და მომსახურების ცენტრი" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი იმედა ბოკელავაძის სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის და მიმწოდებლის წინადადების საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის შედეგად დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. **ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება**

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურეობას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. **ხელშეკრულების საგანი:** (შემდგომში „მომსახურება") <u>სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში წლიური გეგმების დანართი №1, ePLAN – ველში წლიური გეგმებისა და CMR – ველში ხელშეკრულებების ატვირთვა გაფორმებიდან 10 დღის ვადაში</u>

3. **ხელშეკრულების ჯამური ღირებულება**

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 300 (სამასი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. **ანგარიშსწორების ფორმა და ვადები**

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის გაწევის შემდეგ ხელმოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება შემსყიდველის მიერ 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

5. **მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი**

5.1. მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით ინფორმაციის მომზადების და შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში ატვირთვის შემდეგ.

6. **მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა**

6.1. მომსახურების მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2013 წლის 31 დეკემბრამდე.

7. **მხარეთა უფლება–მოვალეობები**

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს მომსახურება სათანადო ხარისხით.

8. **პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის**

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. **დავები და მათი გადაწყვეტის წესი**

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
სოფელ გვიშტიბის საჯარო სკოლა
მის: სოფელი გვიშტიბი
საიდენტიფიკაციო კოდი 221291527
სს. „საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა № GE46BG0000000[illegible]

დირექტორი: ნინო ვადაჭკორია

მიმწოდებელი:
შ.პ.ს. „შესყიდვებისა და მომსახურების ცენტრი
მის: ქ. ქუთაისი, ჯავახიშვილის ქ. № 26
საიდენტიფიკაციო კოდი 412676938
ს/ს „ლიბერთი ბანკის" წყალტუბო 452
ბანკის კოდი: LBRTGE22
ა/ა № GE57LB0113142162623000

დირექტორის მ/შ: იმედა ბოკელავაძე